ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 396

ქალაქი ქუთაისი 18 მაისი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის
დათვალიერებისა და მომსახურების საფასურის
შემოღების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. დაწესდეს ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და მომსახურების საფასური შემდეგი ოდენობით:

1. ფოტო - ვიდეო გადაღებები 2 საათის ხანგრძლივობით - 50 ლარი;

2. ფოტო - ვიდეო გადაღება და მომსახურება სხვადასხვა ცერემონიალის ჩატარებისათვის (ხელისმოწერა, ჯვრისწერა, დაბადების დღე) - 100 ლარი;

3. ინდივიდუალურად ბაღში შემომსვლელთათვის - 1 ლარი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში უფასოდ შესვლით სარგებლობენ:

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

2. ბავშვები 7 წლამდე;

3. ბოტანიკურ ბაღში მივლინებული პირები;

4. დირექციასთან საქმიანი ვიზიტით მივლინებული პირები;

5. სამეცნიერო – კვლევითი მიზნით შემსვლელი პირები;

6. სამხედრო მოსამსახურეები;

7. ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები;

8. პენსიონერები.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი